# საქართველოს უნივერსიტეტი ქვეყნის მასშტაბით

ინოვაციური სწავლება; გაცვლითი პროგრამები; პროფესიული განვითარება დასაქმებასთან ერთად და, რაც მთავარია, სტუდენტებზე მორგებული, სწავლის საფასურის 10 ნაწილად გადახდის შესაძლებლობა. ეს ის ძირითადი ჩამონათვალია, რასაც საქართველოს უნივერსიტეტი მომავალ სტუდენტებს სთავაზობს.

საქართველოს უნივერსიტეტის განსაკუთრებული შეთავაზება **2018** წლის ჩარიცხული სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის **10** ნაწილად გადახდის შესაძლებლობაა, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტი, სურვილის შემთხვევაში, საკუთარი სწავლის საფასურს გადაანაწილებს **10** თვის განმავლობაში.

გარდა ამისა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე **100%**-იანი გრანტის მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტებს თანადაფინანსებას სთავაზობს და ნებისმიერ პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში, **4** წლის განმავლობაში სრულიად უფასოდ ისწავლის.

რაც შეეხება ინოვაციური სწავლებას, ეს გულისხმობს თეორიული ცოდნის მიღებას უახლესი ლიტერატურით და, ამავდროულად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების



გამომუშავებას სპეციალურად მოწყობილი ინფრასტრუქტურის გამოყენებით. თეორიას პლუს პრაქტიკა, სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, გამოიმუშაონ ყველა ის უნარ-ჩვევა, რაც მათ კონკურენტუნარიანს გახდით როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომით ბაზარზე.

გაცვლითი პროგრამები სტუდენტებს უცხოეთში სწავლას სთავაზობს, რაც ნებისმიერი სტუდენტისთვის მიმზიდველია, სწორედ ამიტომ, საქართველოს უნივერსიტეტი, ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე, სტუდენტებს ერთი სემესტრით ან ერთი წლით სთავაზობს მრავალფეროვან გაცვლით პროგრამებს.

ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, სტაჟირებები გაიარონ სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო კომპანიაში, რაშიც მათ უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის სამსახური ეხმარებათ, სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა **93%** დასაქმებულია.

უნივერსიტეტში არსებული სტუდენტურ საქმეთა ცენტრი კი სტუდენტებს მრავალფეროვან და საინტერესო აქტივობებს სთავაზობს.

იმ მიზნით, რომ ხარისხიანი ტრენინგები, აქტუალური საჯარო ლექციები და სხვა სერვისები ხელმისაწვდომი გამხდარიყო საქართველოს რეგიონებშიც — საქართველოს უნივერსიტეტმა ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობები დააარსა. დღეს საქართველოს უნივერსიტეტის ოფისების კარი ადგილობრივი მოსახლეო-



ბისთვის, აბიტურიენტებისთვის ღიაა თელავში, გორში, ქუთაისში, ლანჩხუთში, ზუგდიდში, ბათუმსა და ახალციხეში.

ოფისები რეგიონებში მცხოვრებ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და ყველა დაინტერესებულ პირს, საშუალებას აძლევს მიიღონ საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სპეციალურად მათთვის დაგეგმილი ისეთი ტიპის უფასო სერვისები, როგორებიცაა: იმიტირებული გამოცდები; ტრენინგები როგორც აბიტურიენტებისთვის, აგრეთვე მასწავლებლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის; მასტერკლასები; საჯარო ლექციები, ოლიმპიადები და ღია კარის დღეები, სადაც აბიტურიენტები კიდევ უფრო კარგად გაეცნობიან უნივერსიტეტის შეთავაზებებს.

რეგიონული ოფისების კიდევ ერთი უპირატესობაა ინტერაქტიული გაკვეთილები მოსწავლეებისთვის სხვადასხვა საგანში, რაც აბიტურიენტებს ეხმარება, გამოცდების დაწყებამდე შეამოწმონ საკუთარი თავი და გაიღრმავონ ცოდნა. რაც შეეხება მასწავლებლებს, ამ მხრივ საქართველოს უნივერსიტეტის რეგიონული ოფისები სერტიფიცირებულ ტრენინგებსა და კონსულტაციებს სთავაზობს.

ეს და კიდევ ბევრი საინტერესო სიახლე, დაუვიწყარ სტუდენტურ ცხოვრებასთან ერთად, დაგეხმარება შემდეგი წარმატებული ნაბიჯი გადადგა პროფესიულ საქმიანობაში.



**სწორედ ამიტომ, თუ სწავლა გინდა, აირჩიე საქართველოს უნივერსიტეტი.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდს: www.ug.edu.ge ან დარეკეთ ცხელ ხაზზე: 255 22 22.**